

ღრუბლოვანი სერვისები ინფორმაციულ ტექნოლოგიებში

ნატალია გაბაშვილი, ინგა აბულაძე, თამარ გაბაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

განხილულია ღრუბლოვანი ტექნოლოგიების დანიშნულება და მათი გამოყენების სფეროები. მიმოხილულია ინფორმაციის ცენტრალიზებული შენახვისა და სინქრონიზაციის სერვისები, რომლებიც ცნობილია როგორც „ღრუბლოვანი საცავები“. შემოთავაზებულ საცავში მოთავსებული დოკუმენტაციის უპირატესობა მდგომარეობს მათი სხვისთვის გაზიარების შესაძლებლობაში. ღრუბლოვანი სერვისი რთული კომპიუტერული ქსელია, რომელშიც მომხმარებლის რესურსები შენახულია დაშორებულ მანძილზე.

საკვანძო სიტყვები: ღრუბლოვანი სერვისი. ვირტუალური საცავი. უსაფრთხოება.

1. შესავალი

დღესდღეობით უკვე აღარ არის საჭირო ფაილის ერთი კომპიუტერიდან მეორეში გადასატანად ჰაბები, დისკეტები, ან ფლეშმეხსიერება, რადგან ბოლო დროს განსაკუთრებით პოპულარული გახდა დოკუმენტების ცენტრალიზებულად შენახვისა და სინქრონიზაციის სერვისები ე.წ. „ღრუბლოვანი საცავები“. ღრუბლოვანი საცავები მომხმარებლისაგან დაშორებულ სერვერებზეა განლაგებული და წვდომა ინტერნეტის საშუალებით ხორციელდება, მომხმარებელი „ღრუბლოვანი საცავით“ ისე სარგებლობს, თითქოს ის უშუალოდ მის კომპიუტერში არის დაინსტალირებული. „ონლაინ ფოლდერში“ (ღრუბლოვანი საცავში) განთავსებული დოკუმენტების ერთ-ერთი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ შესაძლებელია მათი გაზიარება სხვისთვის. ღრუბლოვანი საცავების გამოყენება ზოგავს მეხსიერებას მყარ დისკზე. გარდა ამისა ღრუბლოვანი საცავში შენახული დოკუმენტები ხელმისაწვდომია მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში, სადაც არის ინტერნეტი. ღრუბლოვანი საცავის არჩევისას გასათვალისწინებელია სანდოობა, უსაფრთხოება, ინტეგრაციის უნარი სხვადასხვა მოწყობილობებთან და ადვილი სამომხმარებლო გარემო.

ღრუბლოვანი სერვისი საკმაოდ რთული კომპიუტერული ქსელია, რომელშიც დაშორებულ მანძილზე ინახება მომხმარებლის რესურსები [1]. ასეთ სისტემაში არ არის იმის საჭიროება, რომ ყველა ფაილი იქნეს შენახული მყარ დისკზე, არამედ შესაძლებელია მათი ასლის შექმნა (კოპირება) ღრუბლოვანი საცავში, საიდანაც ნებისმიერ დროს ნებისმიერი ადგილიდან შესაძლებელია მათთან წვდომა, თუ კი იქნება კავშირი ინტერნეტთან. მაგალითად, როდესაც მომხმარებელი უყურებს ვიდეოებს youtube-ში, ან ათვალიერებს ფოტოებს facebook-ში, იგი იყენებს ღრუბლოვანი სერვისს [2]. ღრუბლოვანი სერვისი მომხმარებლისთვის არის ერთი დიდი ვირტუალური საცავი. ფიზიკურად ასეთი სერვისები შეიძლება იყოს განლაგებული ერთმანეთისაგან მოშორებით. ღრუბლოვანი სერვისით სარგებლობისას მომხმარებელმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი:

- თუ ფაილი დიდია, ინტერნეტის სიჩქარეც მაღალი უნდა იყოს;
- თუ ფაილს გარკვეული ხნის განმავლობაში არავინ მოიკითხავს, შეიძლება წაიშალოს;

- ფაილის ჩამოსატვირთად შეიძლება მომხმარებელს გარკვეული ხნით ლოდინი დასჭირდეს, ამ ხნის განმავლობაში კი რეკლამებს შესთავაზებენ;

- ჩამოტვირთვის სიჩქარე შეიძლება იყოს არც თუ ისე მაღალი.

ცნობილი ღრუბლოვანი სერვისებია: Dropbox, Microsoft OneDrive, Google Drive, iCloud, Cloudme და ა.შ. [3].



ნახ.1. ღრუბლოვანი სერვისები

2. ძირითადი ნაწილი


მსოფლიოში პოპულარული და ადვილად გამოსაყენებელი საცავი არის Dropbox <http://dropbox.com/>, სადაც მხოლოდ 2 გბ ინფორმაციის შენახვაა უფასოდ შესაძლებელი და შესაძლებელია მაქსიმუმ 300 მბ ზომის ფაილის ატვირთვა. ის თავსებადია შემდეგ მოწყობილობებთან და სისტემებთან: Windows, Mac, Linux, Android, iPhone, iPad, BlackBerry. Dropbox -ის საშუალებით შესაძლებელია ფაილების შენახვა და მოგვიანებით, სხვადასხვა მოწყობილობების საშუალებით მათი ნახვა, ეს იქნება მობილური ტელეფონი, ლეპტოპი, კომპიუტერი თუ პლანშეტი [2].

სანდოობის თვალსაზრისით Google მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დაცული და სანდო ღრუბლოვანი ინფრასტრუქტურით არის აღჭურვილი, რომელსაც მუდმივი მონიტორინგი უტარდება. სწორედ ამიტომ, მომხმარებლის მონაცემები არამხოლოდ დაცული, არამედ საჭირო დროს, ხელმისაწვდომიც არის. Google Drive ონლაინ საცავია, სადაც მომხმარებლებს შეუძლიათ შექმნან ახალი დოკუმენტები, ატვირთონ და შეინახონ თავიანთი ფაილები, შექმნან საქალაქო დოკუმენტები, დააჯგუფონ და გაუზიარონ სხვას თავიანთი დოკუმენტები. <http://drive.google.com/> გუგლის საცავი საკუთარ მომხმარებლებს სთავაზობს 15 გბ მოცულობის სივრცეს. იგი თავსებადია შემდეგ სისტემებთან : Windows, Mac, Android, iOS თან [3].

One Drive (ოფიციალურად არის Microsoft Onedrive, მას ადრე ერქვა Skydrive) <http://onedrive.live.com> ეს კომპანია Microsoft-ის ღრუბლოვანი საცავია. ის ერთ-ერთი საუკეთესოა, რომელიც მომხმარებელს სთავაზობს 15 გბ უფასო ფაილების საცავს. ერთი ფაილის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 10 გიგაბაიტს. ფაილი ფოსტაზე ბოლო შესავლიდან 5 წლის განმავლობაში იქნება შენარჩუნებული [3]. მისი ერთ-ერთი უპირატესობა ისიცაა, რომ მას ქართულენოვანი ინტერფეისიც გააჩნია. ინტეგრირდება შემდეგ სისტემებთან: Windows, Mac, iOS, Android, Xbox (One, 360) -თან.

iCloud - შექმნილია კომპანია Apple-ის მიერ. იგი ინახავს მუსიკას, სურათებს, აპლიკაციებს, ელ.ფოსტებს, კონტაქტებს, კალენდარს, დოკუმენტებს და ა.შ., უკაბელოდ აგზავნის მომხმარებლის Apple-ს ნებისმიერ პროდუქტში. უსასყიდლოდ iCloud-ზე მხოლოდ 5GB არის ხელმისაწვდომი.

Cloudme -ზე ხელმისაწვდომია 3 გბ, სადაც ერთი ფაილის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 150 მეგაბაიტს. ანუ მხოლოდ მცირე ფაილის გადაგზავნაა შესაძლებელი. სამაგიეროდ შესაძლებელია ფაილის უვადოდ შენახვა .

სერვისი	საცავის მოცულობა	ფაილის მასიმალური ზომა	შენახვის ვადა
 CloudMe	3GB	150MB	არ არის შეზღუდული
 Dropbox	2GB	10GB	30 დღე
 Google Drive	15 GB	5TB	არ არის შეზღუდული
 OneDrive	15GB	10GB	5 წელი ანგარიშზე ბოლო შესვლიდან
 iCloud	5GB	15GB	არ არის შეზღუდული

ნახ.2. ღრუბლოვანი სერვისების პარამეტრები

3. დასკვნა

„ღრუბლოვანი სერვისი“ უშუალოდ მომხმარებლის კომპიუტერში კი არ ინსტალირდება, არამედ მომხმარებლისაგან მოშორებულ სერვერზე ან სულაც სერვერთა ჯგუფშია განლაგებული. მსგავსი მიდგომა მომხმარებლისათვის ძალზედ მოსახერხებელია, რადგან კომპიუტერის გაუმართავმა მუშაობამ შეიძლება ბევრი პრობლემა შეუქმნას მას, ხოლო "ღრუბლოვანი სერვისის" შემთხვევაში, ყველაფერზე პასუხისმგებელი თავად სერვისის ადმინისტრაციაა.

ლიტერატურა - References – Литература:

1. Что такое облачные хранилища и для чего они нужны. http://travelfotosol.ru/obuchenie-4773-cto_takoe_oblachnyie_hranilisha_i_dlya_chego_oni_nujnyi
2. ღრუბლოვანი საცავები. <https://www.slideshare.net/dtedei/ss-42967629>
3. 20 лучших облачных хранилищ данных. <http://www.internet-technologies.ru/articles/20-luchshih-oblachnyh-hranilishch-dannyh.html>

CLOUD SERVICES IN INFORMATION TECHNOLOGY

Gabashvili Natalia, Abuladze Inga, Gabashvili Tamar

Georgian Technical University

Summary

It is considered the appointment of cloud technologies and the field of their use. We consider centralized information storage and synchronization services, known as "cloud storage". The advantages of the documentation in the proposed repository are that they can be shared with others. Cloud service is a complex computer network in which the user's resources are stored at a great distance.

ОБЛОЧНЫЕ СЕРВИСЫ В ИНФОРМАЦИОННЫХ ТЕХНОЛОГИЯХ

Габашвили Н., Абуладзе И., Габашвили Т.

Грузинский Технический Университет

Резюме

Рассмотрено назначение облачных технологий и области их использования. Рассматриваются централизованные службы хранения и синхронизации информации, известные как «облачное хранилище». Преимущество размещенной в предлагаемом хранилище документации заключается в возможности делиться ими с другими пользователями. Облачный сервис это сложная компьютерная сеть, в которой ресурсы пользователя хранятся на большом расстоянии.